

## სანიმუშო საგამოცდო კითხვების ამოსნები

### ნაწილი 1 – პასუხები მრავალჯარიან კითხვებზე

1. ბ

2. ა

3. ბ

$$25,000 - 2,000 = 23,000 + 2,300 (10\%) - 6,000 (\text{გადახდა}) = 19,300$$

$$19,300 + 1,930 (10\%) - 6,000 (\text{გადახდა}) = 15,230$$

$$\text{მიმდინარე ვალდებულება} = 19,300 - 15,230 = \$4,070$$

4. დ

5. ბ

20X4 წლის 1 ოქტომბერს დემონტაჟის ანარიცხი არის \$20.4 მილიონი  
( $30,000 \times 0.68$ ) დისკონტირებული.

20X5 წლის 30 სექტემბერს იგი გაიზრდება ფინანსური დანახარჯის 8%-ით =  
\$22,032,000

6. დ

7. ა

$$(1,550 / (2,500 \times 2 + 1,200)) = \$0.25$$

8. გ

	\$'000
შემოსავალი გაყიდვიდან	5,580
წმინდა აქტივები გაყიდვის თარიღისათვის	4,464
გუდვილი გაყიდვის თარიღისათვის	1,674
არამაკონტროლებელი წილი გაყიდვის თარიღისათვის	(900)
	(5,238)
	342

9. გ

10. ა

11. გ

	\$'000
თვითღირებულება ( $240,000 \times \$6$ )	1,440
მეკავშირე საწარმოს მოგების წილი ( $400 \times 240/800$ )	120
გამოკლებული მიღებული ღირებულება ( $150 \times 240/800$ )	(45)
	1,515

12. გ

13. ა

14. დ

მარაგის ბრუნვა არის 61 დღე (365/6).

კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდია 42 დღე (230,000 × 365/2 მილიონი).

ამგვარად, დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდია 51 დღე (70–61+42).

15. გ

	\$'000
20X4 წლის 1 ოქტომბრისთვის (9,000 × 20% × \$3.50)	6,300
შეძენის შემდგომი მოგება (8000 – (3000/5)) = 7,400 20%-ად	1,480
	7,780
	7,780

## ნაწილი ბ – კასუსები სცენარზე დაფუძნებულ

### მრავალპარიანტიან კითხვებზე

16. ა

17. გ

წლიური ცვეთა გადაფასებამდე არის \$150,000 (750/5). გადაფასების თარიღისათვის (20X3 წლის 1 აპრილი) საბალანსო ღირებულებაა \$375,000 (750 – (150 × 2.5 წელი)). გადაფასებული ღირებულება შეადგენს \$560,000-ს, ხოლო დარჩენილი გამოყენების ვადაა 3.5 წელი, ცვეთის ხარჯია წლიური \$160,000, ანუ 6 თვის \$80,000. 20X3 წლის 30 სექტემბერს საბალანსო ღირებულება არის \$480,000 (560 – 80). ალტერნატიული გაანგარიშება: 560,000 – (560,00/3.5 × 6/12) = \$480,000.

გადაფასების რეზერვის ნაშთია \$185,000 (560,000 – 375,000).

18. გ

	ფულადი ნაკადი \$'000	დისკონტირების კოეფიციენტი	დღევანდელი ღირებულება \$'000
საანგარიშგებო თარიღი: 20X4 წლის 30 სექტემბერი	220	0.91	200.2
20X5 წლის 30 სექტემბერი	180	0.83	149.4

20X6 წლის 30 სექტემბერი	200	0.75	150
			499.6

19. დ

20. ბ

	საბალანსო ღირებულება გაუფასურებამდე	გაუფასურების ზარალი	საბალანსო ღირებულება გაუფასურების შემდეგ
	\$'000	\$'000	\$'000
გუდვილი	2,000	2,000	ნული
ქარხანა	4,000	800	3,200
მანქანა-დანადგარები	3,500	700	2,800
დებიტორული დავალიანება და ფულადი სახსრები	2,500	ნული	2,500
	12,000	3,500	8,500

21. გ

22. ა

23. დ

200 თანამშრომელი \$5,000-ად = \$1,000,000 შტატების შემცირების დანახარჯი. გადამზადების დანახარჯი მომავალი ხარჯია.

24 ა

მანქანა-დანადგარის გაუფასურების ზარალია \$1,750,000 (2,200,000 – (500,000 – 50,000)).

25. ა

წაგებიანი კონტრაქტი \$850,000 + ჯარიმა \$200,000 = \$1,050,000. შესაძლო დაზღვევის მიღება უნდა უგულებელყოთ, ვინაიდან მოსალოდნელი არ არის იმის მიღება და იგი ანარიცხის თანხიდან გამოქვითული არ იქნება.

26. ბ

27. ა

A კომპანიის აქციები ასახულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით კატეგორიაში.

B კომპანიის აქციები შეძენილია ვაჭრობის მიზნით და აისახება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით კატეგორიაში (გარიგების დანახარჯები არ ჩაირთვება საბალანსო ღირებულებაში).

A კომპანიის აქციების ღირებულებაა  $10,000 \times \$3.50 \times 1.01 = \$35,350$ .

20X3 წლის 30 სექტემბერს რეალური ღირებულება  $10,000 \times \$4.50 = \$45,000$ .

ემოსულობა =  $45,000 - 35,350 = \$9,650$ .

**28. გ**

	\$'000
20X3 წლის 30 სექტემბრის ანარიცხი	4,400
20X2 წლის 1 ოქტომბრის ანარიცხი	(2,500)
	<hr/>
	1,900
20X2 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის ანარიცხის ნაკლებობის ჩამოწერა	2,400
20X3 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის მოგების გადასახადი	28,000
	<hr/>
20X3 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის მოგების გადასახადის ხარჯი	32,300
	<hr/>

**29. ბ**

20X3 წლის 30 სექტემბერს მომსახურება უნდა შესრულდეს კიდევ ორი წლის განმავლობაში, ამგვარად \$1.6 მილიონი  $(600,00 \times 2) \times 100/75$  აისახება გადავადებული შემოსავლის ანგარიშზე.

**30. ა**

## ნაწილი ბ – პასუხები სავარჯიშო კითხვებზე

### 1. „ქენდი“

(ა) „ქენდის“ გაუნაწილებელი მოგების შეჯერების ცხრილი 20X5 წ. 30 სექტემბრის მდგომარეობით

		\$000
გაუნაწილებელი მოგების ნაშთი საცდელი ბალანსიდან		15,500
მუხლების კორექტირება:		
(შენიშვნა (1))	სავალო ვალდებულებების გამოშვების დანახარჯების დამატება (გ1)	1,000
	სავალო ვალდებულებების ფინანსური დანახარჯები (გ1)	(2,610)
(შენიშვნა (2))	შემოსულობა საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან (17,000 – 15,000)	2,000
	შემოსულობა საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან, რომელიც დაირიცხა ძირითადი საშუალების ანგარიშზე გადატანამდე (6,000 – 5,000)	1,000
	შენობების ცვეთა (გ2)	(2,825)
	მანქანა-დანადგარების ცვეთა (გ2)	(3,000)
(შენიშვნა (3))	მოგების გადასახადის ხარჯი (გ3)	(800)
		<hr/>
	კორექტირებული გაუნაწილებელი მოგება	10,265
		<hr/>

(ბ) „ქენდის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2014 წ. 30 სექტემბრის მდგომარეობით

აქტივები		\$000	\$000
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები (50,175 + 21,000 (გ2))			71,175
მიმდინარე აქტივები (საცდელი ბალანსიდან)			68,700
			<hr/>
სულ აქტივები			139,875
			<hr/>
სააქციო კაპიტალი და ვალდებულებები			
სააქციო კაპიტალი			
\$1-იანი ჩვეულებრივი აქციები			20,000
გადაფასების რეზერვი (32,000 – 6,400 (გ2 და გ3))	25,600		
გაუნაწილებელი მოგება (ა)-დან	10,265		
		<hr/>	35,865
			<hr/>
			55,865
			<hr/>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული გადასახადი (გ3)	8,400		
6%-იანი სავალო ვალდებულებები (გ1)	29,810		
		<hr/>	38,210
			<hr/>
მიმდინარე ვალდებულებები (საცდელი ბალანსიდან)	43,400		

მიმდინარე მოგების გადასახადი	2,400	45,800
სულ სააქციო კაპიტალი და ვალდებულებები		<u>139,875</u>

**განგარიშები (ფრჩხილებში მოცემული ფულადი ციფრები გამოსახულია ათასებში)**

**(გ1) სავალო ვალდებულებები**

		\$000
მიღებული ფულადი სახსრები		30,000
გამოკლებული გამოშვების დანახარჯები, რომელიც არასწორად ჩამოიწერა ადმინისტრაციულ ხარჯებში		(1,000)
ვალდებულებების საწყისი ნაშთი		29,000
პროცენტი, 9% ეფექტური განაკვეთის საფუძველზე		2,610
გამოკლებული გადახდილი პროცენტი (საცდელი ბალანსიდან)		(1,800)
		<u>29,810</u>

სავალო ვალდებულებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ზემოთ არის გამოთვლილი. საწყისი ღირებულება გამოთვლილია შემდეგნაირად: სავალო ვალდებულებების გამოშვებისას მიღებულ ფულად სახსრებს გამოაკლდა გამოშვების დანახარჯები.

**(გ2)**

**მიწისა და შენობების გადაფასების ნამეტი და საბალანსო ღირებულება არის:**

	\$'000
საბალანსო ღირებულება 20X4 წლის 1 ოქტომბრისათვის (35,000 – 20,000)	15,000
გადაფასება მოცემული თარიღისათვის (8,000 + 39,000)	47,000
გადაფასების ნამეტი	<u>32,000</u>

**შენობების ცვეთა 20X5 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის:**

მიწა და შენობები 20X4 წლის 1 ოქტომბრისათვის (39,000/15 წელი)	2,600
საინვესტიციო ქონების გადატანა (6,000/20 × 9/12)	225
	<u>2,825</u>

საბალანსო ღირებულება 20X5 წლის 30 სექტემბრისათვის (47,000 + 6,000 – 2,825)	<u>50,175</u>
---	---------------

**მანქანა-დანადგარები**

საბალანსო ღირებულება 20X4 წლის 1 ოქტომბრისათვის (58,500 – 34,500)	24,000
ცვეთა 20X5 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის (12.5% შემცირებადი ნაშთის მეთოდი)	(3,000)
საბალანსო ღირებულება 20X5 წლის 30 სექტემბრისათვის	<u>21,000</u>

**(გ3) დაბეგვრა**

მოგების გადასახადის ხარჯი	\$000
ანარიცხი 20X5 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის	2,400

გამოკლებული წინა წლის ანარიცხის მეტობა	(1,100)
გადავადებული გადასახადი (იხ. ქვემოთ)	(500)
	800
გადავადებული გადასახადი	\$000
ანარიცხი 20X5 წ. 30 სექტემბერს დამთავრებული წლის ((10,000 + 32,000)) × 20%	8,400
ანარიცხის საწყისი ნაშთი 20X4 წლის 1 ოქტომბრისათვის	(2,500)
მოძრაობა ანარიცხის ანგარიშზე	5,900
მიწისა და შენობების გადაფასების შემოსულობის თანხის გადავადებული გადასახადის ღარიცხვა (\$32 მლნ × 20%)	(6,400)
ნაშთი – მოგებისა და ზარალის ანგარიშგების კრედიტი	(500)

გ)

<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	\$'000
ცვეთა	5,825
საინვესტიციო ქონების გადაფასება	(1,000)
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან	(2,000)
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული ფული	17,000

<b>ACCA-ის ქულების მინიჭების სქემა</b>	
	<i>ქულები</i>
ა) გაუნაწილებელი მოგების შეჯერების ცხრილი 20X4 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით	
გაუნაწილებელი მოგება საცდელი ბალანსიდან	0.5
გამოშვების დანახარჯები	1
სავალო ვალდებულებების ფინანსური დანახარჯები	1
შემოსულობა საინვესტიციო ქონებიდან	1
ცვეთის ხარჯი	3
მოგების გადასახადის ხარჯი	1.5
ბ) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	
ძირითადი საშუალებები	2
მიმდინარე აქტივი	0.5
სააქციო კაპიტალი	0.5
გადაფასების რეზერვი	2
გადავადებული გადასახადი	1
6%-იანი სავალო ვალდებულებები	1.5
მიმდინარე ვალდებულებები (საცდელი ბალანსიდან)	0.5
მოგების გადასახადის ვალდებულება	1
გ) ფულადი ნაკადების ანგარიშგების ამონარიდი	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
ცვეთა	1
საინვესტიციო ქონების გადაფასება	0.5
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან	0.5
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	

საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული ფული	<u>1.0</u> <u>20</u>
---	-------------------------

## 2. „რეაქტივი“

ა) **შენიშვნა:** გამოთვლებში ციფრები გამოსახულია მილიონებში.

დაბანდებული კაპიტალის უკუგება საანგარიშგებო წლის ბოლოს	32.3%	$220 / (1,160 - 480) \times 100$
წმინდა აქტივების ბრუნვა	5.9 ჯერ	$4,000 / 680$
საერთო მოგების მარჟა	13.8%	$(500 / 4,000) \times 100$
წმინდა მოგების (დაბეგვრამდელი) მარჟა	5.0%	$(200 / 4,000) \times 100$
მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.3 : 1	610 : 480
საბოლოო მარაგის ფლობის პერიოდი	26 დღე	$250 / 3,450 \times 365$
სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოღების პერიოდი	44 დღე	$(360 / 4,000 - 1,000) \times 365$
სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი (რეალიზებული საქონლის თვითღირებულებაზე დაყრდნობით)	45 დღე	$(430 / 3,450) \times 365$
დივიდენდური შემოსავლიანობის კოეფიციენტი	6.0%	(იხ. ქვემოთ)
დივიდენდების დაფარვის კოეფიციენტი	1.67 ჯერ	$150 / 90$

ერთ აქციაზე დივიდენდი შეადგენს 22.5 ცენტს ( $90,000 / (100,000 \times 4$  ანუ 25 ცენტრიანი აქციები), რაც წარმოადგენს 6.0% დივიდენდურ შემოსავლიანობას \$3.75 ფასის მქონე აქციისთვის.

ბ) „რეაქტივის“ 2006 წ. 31 მარტს დასრულებული წლის ფინანსური შედეგებისა და მდგომარეობის შედარებითი ანალიზი.



## მოგებიანობა

მენეჯერების მიერ გატარებული ზომები წარმატებული ჩანს, რადგან მთლიანი დაბანდებული კაპიტალის უკუგება (რომელიც მიიჩნევა კომპანიების საქმიანობის შედეგების უმთავრეს საზომად) 15%-ით (32.3 – 28.1)/28.1) გაუმჯობესდა. თუკი დეტალურად გამოვიკვლევთ დაბანდებული კაპიტალის უკუგების კოეფიციენტის შემადგენელ მაჩვენებლებს, მოგებიანობის გაუმჯობესება განაპირობა კომპანიის აქტივების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებამ, კერძოდ, აქტივების ბრუნვის კოეფიციენტის ზრდამ 4-დან 5.9-მდე (გაუმჯობესება 48%). აქტივების ბრუნვის გაუმჯობესება გადაიფარა დაბალი მოგების მარჟით ორივე ღონეზე, როგორც საერთო, ისე წმინდა მოგების მარჟით. ამ ფაქტს ზედაპირულად თუ შევხედავთ, ეს შედეგები შეიძლება განპირობებული იყოს კომპანიის ორი სტრატეგიით: ბითუმად მოვაჭრე კლიენტებისთვის ფასდათმობის შეთავაზებით, თუ მათი შეკვეთები გარკვეულ ღონეს მიაღწევს და ასევე სარეკლამო კამპანიით, რომელმაც დადებითი გავლენა იქონია ამონაგებზე.

ფასდათმობამ გამოიწვია საერთო მოგების მარჟის შემცირება, ხოლო სარეკლამო კამპანიის დანახარჯებმა – წმინდა მოგების მარჟის შემცირება (სავარაუდოდ, მენეჯერები ელოდნენ რეალიზაციის მოცულობის ზრდას მაკოპენსირებელ ფაქტორად). მენეჯერების გადაწყვეტილებამ, შეეწყვიტათ გარკვეული სახეობის პროდუქციის კომპანიაში აწყობა და მის ნაცვლად შეეძინათ მზა პროდუქცია, მათ ზედმეტი მანქანა-დანადგარის გაყიდვის საშუალება მისცა, რამაც, თავის მხრივ, შეამცირა აქტივების რაოდენობა (ბაზა). შესაბამისად, შესაძლოა აქტივების ბრუნვის კოეფიციენტის გაუმჯობესება განაპირობა რეალიზაციის მოცულობის ზრდამ და შემცირებული აქტივების ბაზამ, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავის მხრივ, აუმჯობესებს დაბანდებული კაპიტალის უკუგებას.

მანქანა-დანადგარის გაყიდვის შედეგები ყურადღებით უნდა გაანალიზდეს. დაბეგრამდელი მოგება მოიცავს ასევე მანქანა-დანადგარის გაყიდვიდან მიღებულ მოგებასაც, \$40 მლნ-ს. ვინაიდან ეს არის „ერთჯერადი“ მოგება, ხელახლა უნდა გამოვითვალოთ დაბანდებული კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი ამ ციფრის გარეშე. შედეგად, დაბანდებული კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი იქნება მხოლოდ 23.7% (180 მლნ/(1,160 – 480 მლნ + 80 მლნ (80 მლნ არის მანქანა-დანადგარის საბალანსო ღირებულება)); ასევე შემცირებული იქნება დაბეგრამდელი წმინდა მოგების პროცენტი, თუმცა მხოლოდ 4.0%-მდე (160 მლნ/4,000 მლნ). ამ ფონზე მიმდინარე წლის შედეგები უფრო უარესია წინა წლის შედეგებთან შედარებით. ამგვარად, ანგარიშგებაში ნაჩვენები ციფრები მხოლოდ ნიღბავს კომპანიის რეალურ შედეგებს.

## ლიკვიდობა

პერიოდის განმავლობაში კომპანიის ლიკვიდობის მდგომარეობა გაუარესდა. მისაღები მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი 1.6 ჩამოვიდა საგანგაშო ღონემდე – 1.3 (ჩვეულებრივ, 1.5 მიიჩნევა ამ კოეფიციენტის უსაფრთხო მინიმალურ ღონედ). სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი თითქმის უცვლელია (45/44 დღე). როგორც ჩანს, კომპანიის ლიკვიდობის ღონის ცვლილება აიხსნება მარაგისა და სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ღონით. ეს კი საპირისპირო სურათს იძლევა. საბოლოო მარაგის ფლობის პერიოდი საგრძნობლად შემცირდა (46-დან 26 დღემდე), რაც მარაგის მართვის ეფექტიანობაზე მიუთითებს. ეს შეიძლება განპირობებული იყოს შეკვეთის ციკლის შემცირებით. აღნიშნული კოეფიციენტის შემცირებამ გამოიწვია მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტის შემცირება. ამასთან, სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი შემცირდა 55-დან 45 დღემდე, რამაც, თავის მხრივ, მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტის ზრდა გამოიწვია. ეს

შესაძლოა, განაპირობა მომწოდებლების მიერ პროდუქციის ყიდვისთვის შემოთავაზებულმა განსხვავებულმა პირობებმა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მანქანა-დანადგარის გაყიდვამ კომპანიას \$120 მლნ შემოსავალი მოუტანა და ამის გარეშე კომპანიის ლიკვიდობა ბევრად უფრო საგანგაშო იქნებოდა.

### **საინვესტიციო კოეფიციენტები**

მიმდინარე წლის დივიდენდური შემოსავლიანობის კოეფიციენტი 6.0% განსაკუთრებით შთამბეჭდავად გამოიყურება, წინა წლის კოეფიციენტთან 3.75%-თან შედარებით. თუმცა, ვინაიდან კომპანიამ შეინარჩუნა გაცემული დივიდენდების დონე (და ერთ აქციაზე გაცემული დივიდენდების დონეც, რადგან სააქციო კაპიტალი არ შეცვლილა), დივიდენდური შემოსავლიანობის კოეფიციენტის გაუმჯობესება მხოლოდ აქციის ფასის დაცემამ განაპირობა. გასულ წელს აქციის ფასი უნდა ყოფილიყო \$6.00, რათა დივიდენდური შემოსავლიანობის კოეფიციენტი გამოსულიყო 3.75%, ერთ აქციაზე 22.5 ცენტი დივიდენდის გაცემისას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ, წინა წლის მსგავსად, ისევ \$90 მლნ-ის დივიდენდების გაცემა \$150 მლნ მოგებიდან გვადლევს დივიდენდების დაფარვას მხოლოდ 1.67-ჯერ მაშინ, როცა იმავე დივიდენდებზე წინა წელს დივიდენდების დაფარვის კოეფიციენტი მოგებიდან იყო 2-ჯერ (რაც იმას ნიშნავს, რომ წინა წელს დაბეგვრის შემდგომი მოგება იყო \$180 მლნ).

### **დასკვნა**

დირექტორების მიერ გატარებული ღონისძიებების შემდეგ თითქოს გაუმჯობესდა მოგებიანობა მიმდინარე წლის დასაწყისში, რაც, მნიშვნელოვანწილად (სულ თუ არა), განაპირობა მომარაგების პოლიტიკის შეცვლამ და მანქანა-დანადგარის გაყიდვის დადებითმა შედეგებმა. კომპანიის ლიკვიდობა ახლა მიღებულ ზღვარს ქვემოთაა და ბევრად უფრო უარესი იქნებოდა, მანქანა-დანადგარი რომ არ გაყიდულიყო. ნათელია, რომ ინვესტორები მიხვდნენ კომპანიის შედეგების რეალურ შინაარსს და, შესაბამისად, კომპანიის აქციის ფასიც დაეცა.